საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მელაძე გიორგი გიორგის ძე

მელაძე გიორგი გიორგის ძე (დ. 18. VIII. 1930, ხონი), აგრომეტეოროლოგი, აგრარულ მეცნ. დოქტორი (1975), პროფესორი (1988), სტუ-ის ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე (2018-იდან), საქართვ. დამს. აგრონომი (1983). დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი (1953). მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიის ინ-ტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1963-79), აგრომეტეოროლოგიის განყ-ბის გამგედ (1979-2005), მთ. მეცნიერ თანამშრომლად (2005-იდან), საქართვ. აგრარულ უნ-ტსა (1974-2005) და თსუ-ში (1991-2007) - პროფესორად.

მ-ის სამეცნ. კვლევები ეხება აგროკლიმატური რესურსების (მ. შ. მაღალმთიან ზონაში) შეფასებას, აგროკულტურების ზრდა-განვითარებისა და მოსავლის ფორმირების საფუძველზე მათ დარაიონებას; აგრომეტეოროლ. პროგნოზების მეთოდების შემუშავებას თანამედროვე კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით. მ. არის სამეცნ. ნაშრომების ავტორი, მ. შ. მონოგრაფიისა და სახელმძღვანელოსი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001) და სტუ-ის "ოქროს მედლით" (2022).

თხზ.: საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონების აგროკლიმატური რესურსები, თბ., 2010; საქართველოს დასავლეთ რეგიონების აგროკლიმატური რესურსები, თბ., 2012; კლიმატის ცვლილება: აგროკლიმატური გამოწვევები და პერსპექტივები აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2020.